ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს: ნოემბერია

ეროვნულ ტრადიციებს — აღორძინება! მე-2 გვ.

ი. გრინბერგასი: „...ფხაკაძეს მათზე წინ ვაყენებ“ მე-2 გვ.

სათხილამურო სპორტის სპეციალისტთა ოპტიმიზმი მე-3 გვ.

კორჩნოიმ დაამარცხა ლარსენი მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 242 (3726)

1968 წ. 12 დეკემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

სპორტული სიახლენი

◆ ბუქარესტი, 11 დეკემბერი. 22 ქვეყნის ფედერაციებმა, მათ შორის, სსრ კავშირისამ, უკვე გამოგზავნეს განაცხადები ევროპის მოკრივეთა ჩემპიონატში საასპარეზოდ, რომელიც რუმინეთის დედაქალაქში გაიმართება 1969 წლის 31 მაისიდან 8 ივნისამდე. განაცხადების მიღებას ვადა 1 აპრილამდეა გაგრძელებული. კონტინენტის მოკრივეთა ჩემპიონატების 43-წლიან ისტორიაში რუმინეთი პირველად მასპინძლობს ამ შეჯიბრებას. ეს შემთხვევითი როდია: რუმინელმა მოკრივეებმა ამ ბოლო დროს ერთობ დიდი სახელი მოიხვეჭეს ევროპულ რინგზე. მაგალითად, რომის 1967 წლის ჩემპიონატში რუმინელები გუნდურ ჩათვლაში პოლონეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემდეგ III ადგილზე გავიდნენ, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 4 მედალი მოიპოვეს. ტურნირის მასპინძლებმა დიდი სამზადისი გააჩაღეს მომავალი ორთაბრძოლებისთვის. რუმინეთის კრივის ფედერაციამ შეარჩია ნაკრების 50 კანდიდატი, რომელთაც ამზადებენ მწვრთნელები ი. პოპი, კ. დუმიტრესკუ და ი. კირიაკი.

96:80

მოსკოვი, 11 დეკემბერი. გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და ალმა-ათის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 96:80 (57:42).

სასტენდო სროლა ქალთათვის საკმაოდ ძნელი სახეობაა. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ სსრ კავშირში სულ რამდენიმე სპორტის ოსტატია, დასავლეთში კი კარგი მსროლელები თითებზე თუ ჩამოითვლებიან. სპორტის ეს სახეობა მეტად შრომატევადია და, ნიჭის გარდა, ხანგრძლივ, დაძაბულ შრომას მოითხოვს. ყოველივე ამას არ შეუშინდა ემილია მელიქიშვილი, რომელმაც სასტენდო სროლა ბავშვობიდანვე შეიყვარა და გულმოდგინე ვარჯიშით ჯერ ჩვენს რესპუბლიკაში დაიმკვიდრა უძლიერესის სახელი, მერე საკავშირო სარბიელზეც სცადა ძალა და წარმატებითაც.

სსრ კავშირის პირველობების მრავალგზის პრიზიორი, შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ე. მელიქიშვილი მიღწეულით როდი კმაყოფილდება. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის მუშაკი სამსახურიდან თავისუფალ დროს უმეტესად არმიელთა სპორტული კლუბის სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სტენდზე ატარებს, სადაც სრულყოფს ტექნიკას, მომავალი საპასუხისმგებლო ტურნირებისთვის ემზადება.

ემილიამ წლევანდელი სეზონის ბოლო გამოცდაც კარგად ჩააბარა — რესპუბლიკურ ჩემპიონატში ადგილიდან სროლაში I ადგილი მოიხვეჭა და კიდევ ერთი საპატიო წოდება შემატა ადრინდელ მონაპოვარს.

• • •

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ე. მელიქიშვილი.

ჯუჯენ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე III ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის IV ტური. შეხვედრათა შედეგები ასეთია: პოლონეთი — გდრ 22:22 (11:11), უნგრეთი — ბულგარეთი 30:20 (14:10), სსრ კავშირი — საქართველო 19:15 (7:7).

4 ტურის შემდეგ 8 ქულით ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები. საქართველოს ხელბურთელებს 6 ქულა აქვთ, პოლონელებს — 5, გდრ-ის წარმომადგენლებს — 3, უნგრელებს — 2, ბულგარელებს — 0.



საფრანგეთის რეგბისტთა ეროვნული ნაკრები გუნდის წევრი მ. ია-შვილი (ბურთით ხელში) თამაშის დროს.

ბონი — „ძველ პოზიციაზე“

როგორც ცნობილია, ა. წ. ოქტომბერს მეხიკოში გამართულ სესიაზე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) გადაწყვიტა სცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები ოლიმპიადების თანაბარუფლებიან წევრებად აქედან გამომდინარე ყველა შედეგითა და დასკვნით. ამის შესაბამისად, 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში გდრ-ისა და გფრ-ის გუნდები თავიანთი სახელმწიფო დროშებითა და ემბლემებით გამოვლენ, გდრ-ისა და გფრ-ის წარმომადგენელთა გამარჯვების შემთხვევაში კი შესრულდება ამ ქვეყნების ჰიმნები.

სოკ-მა ეს დადგენილება საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე გდრ-ის მზარდი პრესტიჟისა და საერთაშორისო სარბიელზე ამ ქვეყნის დიდი მიღწევების აღიარების ნიშნად მიიღო. თავისი დადგენილებით სოკ-მა კვერი დაუკრა ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობას. აი, სწორედ ამან გამოიწვია ბონში დაუფარავი გაოგნებულობა. სოკ-ის გადაწყვეტილებამ ხმა ახალი, ხერიოზული დარტყმა მიაყენა გფრ-ის სულელურ პრეტენზიას — იყოს მთელი გერმანიის „ერთპიროვნული წარმომადგენელი“.

თუმცა სოკ-ის დადგენილების დღიდან უკვე ორი თვე გავიდა, გფრ-ის

● გფრ-ის მთავრობა ცდილობს ხელი შეუშალოს 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიადაში გდრ-ის სპორტსმენთა მონაწილეობას ●

მთავრობამ აქამდე არ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება მისდამი. მაშინ კი, როცა 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სარბიელად დასავლეთგერმანული ქალაქი მიუნპენი აირჩიეს, გფრ-ის მთავრობამ პირობა დასდო შეესრულებინა სოკ-ის ყველა სურვილი.

ამას წინათ დასავლეთგერმანული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვ. დაუმემ წერილით მიმართა გფრ-ის მთავრობას. მან შესთავაზა მთავრობის ხელმძღვანელებს წლის ბოლომდე გამოვიდნენ განცხადებით, რომელიც გარანტიას მისცემს სოკ-ს, რომ დასავლეთგერმანელი ხელისუფლები არაფერს მოიმოქმედებენ მიუნპენის ოლიმპიადაში გდრ-ის სპორტსმენთა გამოსვლის წინააღმდეგ საკუთარი სახელმწიფო დროშითა და ჰიმნით. თუ არა და, გფრ-ის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ დასავლეთ გერმანია უარს ამბობს ოლიმპიადის ჩატარებაზე.

როგორღა უპასუხა ბონმა ამ მოწოდებას? გაზეთების ცნობებით, გფრ-ის მთავრობა „დღესდღეობით ვერ ხედავს მიზეზებს შეცვალოს ამ საკითხში თავისი ძველი პოზიცია“. მაგრამ კარგადაა ცნობილი, რომ ბონის ძველი პოზიცია მდგომარეობს შემდეგში: დასავლეთ გერმანიაში საკუთარი სახელმწიფო დროშითა და ჰიმნით გდრ-ის სპორტსმენთა გამოსვლა დაუშვებელია.

მაინც რისი იმედი აქვთ გფრ-ის დედაქალაქში? ამაზე წერს გაზეთი „რაინიშე პოსტი“: გფრ-ის მთავრობა პასუხს აჭიანურებს იმ იმედით, რომ სოკ-ი მიიღებს გადაწყვეტილებას მომავალ ოლიმპიურ თამაშებში საერთოდ თქვან უარი დროშებზე და ჰიმნების შესრულებაზე.

აი, რაშია საქმე: ბონს სურს ზეგავლენა მოახდინოს სოკ-ზე.

გფრ-ის ხელისუფალთა მოქმედება კრიტიკას იწვევს დასავლეთგერმანულ პრესაშიც კი. გაზეთი „ნოიე რაინეიტუნგი“ წერს: „არ არსებობს მეორე სხვა გადაწყვეტილება: ან ბონი რაც შეიძლება მალე იტყვის „ჰოს“, ან დაადგება თამაშებზე უარის თქმის აბსურდულ იდეას“.

ყინულის მზადებები ლუჟნიკში

მოსკოვი, 11 დეკემბერი. უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ფიგურული ცეგურაობის ოსტატები 12-15 დეკემბერს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში III საერთაშორისო ტურნირს — „მოსკოვის ციგურებს“ გამართავენ. მოსალოდნელია თავიანთი ქვეყნების ჩემპიონთა — ი. ჰოფმანის (გდრ), ი. პორემსკას, პ. შჩიპისა და ზ. პენკოვსკის (ყველანი — პოლონეთი), 13 წლის რუმინელი ბიატრიჩე ხუსტიეს და სხვათა ჩამოსვლა.

მონაწილეთა შორის, ცხადია, იქნებიან სსრ კავშირის ჩემპიონები გ. გრეიბოვსკაია და ს. ჩეტვერუხინი.

საბჭოთა „ოქროს წყვილი“ — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი ამ ტურნირში არ ეასპარეზებენ, ვინაიდან სეზონის ოფიციალური შეჯიბრებებისთვის მათი მზადების პროგრამაში ეს შეჯიბრება არ შედის. „ვერცხლის წყვილი“ (ტ. ჟუკი და ა. გორელიკი), როგორც ჩანს, სამუდამოდ გამოეთხოვა ყინულის სარბიელს. ასევე დაანებებს თავი აქტიურ სპორტს ცეკვაში საკავშირო ჩემპიონებმა ი. გრიშკოვამ და ვ. რიქკინმა.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართება ნებისმიერი პროგრამა წყვილთა სრიალში, სპორტულ ცეკვებსა და ვაჟთა ერთეულების თანრიგში. მეორე დღეს წყვილები ნებისმიერი პროგრამით გამოვლენ, ქალები დაიწყებენ სავალდებულო პროგრამას, ვაჟები კი დაამთავრებენ. ასპარეზობის ბოლოსწინა დღეს ფიგურისტი ქალები სავალდებულო პროგრამას გააგრძელებენ, ხოლო ვაჟები ნებისმიერში გამოვლენ.

ტურნირი დამთავრდება ქალთა ერთეულების თანრიგის ნებისმიერი პროგრამით და, როგორც მუდამ, საჩვენებელი გამოსვლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Sport ნაკეთი

იპოდრომი ზღვამ ჩაყლაპა

...სიცარულს დიდი დღე არ ეწერა

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის წლევანდელ პლენუმზე ამ სახეობის ეროვნული ტრადიციების აღდგენაზე მსჯელობისას ფოთზეც იყო საუბარი. ცხენოსნობის მოყვარულთ დღესაც კარგად ახსოვთ ფოთელი მხედრების დ. მალანიას, ვ. მაქაცარიას, დ. ხოფერიას, კ. მელიას, ც. შურღაიას, ვ. ნაჟუებიას, ზ. ტულუშისა და სხვების გამოსვლები რესპუბლიკურ და საკავშირო იპოდრომებზე. საქართველოს პირველობაში მათ არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება კლასიკურ და ეროვნულ სახეობებში. პირველი დიდი წარმატება — საქართველოს თასი და ჩემპიონობა ფოთელებმა 1947 წელს დაისაკუთრეს თვითონ სარბიელზე. ფოთში სწორედ მაშინ გაიხსნა იმ დროისთვის რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო იპოდრომი. 17 წლის განმავლობაში ამ სარბიელზე იმართებოდა ადგილობრივი ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებების უმეტესობაც, ტარდებოდა რესპუბლიკური შეჯიბრებები ცხენოსნობაში.

გულსატკენი სანახავია ახლა ფოთის იპოდრომი. ზღვას დაუფარავს მთელი სარბიელი და ტალღები სულ განაპირა ტრიბუნებსაც კი ძირს უთხრის. სავალალო მდგომარეობაშია თავლა და ადმინისტრაციული შენობა. ბედს შეურიგდნენ უსარგებლოდ დარჩენილი მხედრებიც. სტიქიამ თავისი გაიტანა. მაგრამ დასანანი ისაა, რომ სწორედ იპოდრომის მოშლა გახდა ფოთში ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების მივიწყების ერთ-ერთი მიზეზი. ფოთელი მხედრები რესპუბლიკურ პირველობაში უკანასკნელად 1964 წელს ჩაებნენ სრული შემადგენლობით. ფოთში ცხენოსნობის ხელახალი აღორძინების იმედით მზრუნველ ადამიანებს დღემდე კიდევ შემოუნახავთ მხედრების წინაშე ვალმოხდილი, სამადლიანი დაუძლურებული ცხენი. ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მხარდაჭერით ფოთელებმა სად არ ითხოვეს, იპოდრომისთვის ნაკვეთი გამოგვიყავითო, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ნაყოფი არც რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შუამდგომლობამ გამოიღო.

ერთ ხანს თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ პატარა ფოთის ტერიტორიაზე (ხობის რაიონს ეკუთვნის) გამოეყოთ ნაკვეთი. ენთუზიასტებმაც დაუფოვნებლივ მონიშნეს მომავალი სარბიელის კონტურები, ალაყაფის კარი დიდის ამბით შეაბეს გაშლილ ველს, მაგრამ მათ სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. ახლახანს ამ ნაკვეთის გამოყოფაზე უარი მიიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

— ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავსვამთ ზემდგომ ორგანოებში. თუ უარი მივიღეთ, სხვა ადგილს შევარჩევთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, — ამბობს ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ტურძელაძე.

ამას წინათ ჩოხატაურში დამთავრდა საქართველოს პირველობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. საცხენოსნო სპორტის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარემ, თბილისის საცხენოსნო ბაზის უფროსმა რ. კორძაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ შეჯიბრების სანახავად ბევრი გულშემატკივარი იყო ჩამოსული ფოთიდან უხუცესი მხედრის კ. შურღაიას ხელმძღვანელობით.

— ფოთელებს გულით უყვართ ცხენოსნობა და კიდევ ერთხელ გვთხოვეს დახმარება. როგორც კი იპოდრომის საკითხი მოგვარდება, ჩვენ მზად ვართ ცხენები გადავცეთ, — გვითხრა კორძაიამ.

ფოთში საცხენოსნო სპორტის ეროვნული ტრადიციები უნდა აღორძინდეს.

თ. ბაჩიჩილაძე.

ფოთი. (ჩვენი სპეც. კორ.).



ს ურ ა თ ზ ე: საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

3. ქარსელაძის მემორიალის პერიპეტიებიდან

ცაიტნოტის ვერაგობა

გორელი გურამ მუკნიაშვილი თავგამოდებით იბრძოდა ყოველ პარტიაში, განსაკუთრებით კი დიდოსტატებთან.

გახსოვთ, ალბათ, როგორ შეაცდინა დიდოსტატმა ე. გელერმა, როცა უარეს პოზიციაში ყაიმი შესთავაზა. გურამმა მსოფლიოს ექსჩემპიონ მ. ტალსაც დიდი ბრძოლა გაუმართა.

ტალ — მუკნიაშვილის პარტიაში ასეთი პოზიცია შეიქმნა:



ტალი პაიკებით იერიშზე ფიქრობს და ითამაშა:

34. ეc8+ მg8 35. e4 ლh3.

ირკვევა, რომ ეტლით ქიში შეცდომა იყო. მუკნიაშვილს ყაიმის შანსი მიეცა, მაგრამ იგი მოგებაზე ფიქრობს.

36. ლc1 h5.

უკეთესი იყო 36. ... ლg4 პაიკზე თავდასხმით.

37. f3 h4 38. ეc2 hg 39. ეg2 ლd7 40. hg ლd4+ 41. მფh1 ლf6 42. ლe3 მe7??

მწვავე ცაიტნოტში მუკნიაშვილი აჩქარდა. მან არ იცოდა, რომ საკონტროლო მე-40 სვლა გაკეთებული ჰქონდა და მწარედ შეცდა. 42. ... მh6-ის შემდეგ პოზიცია რთული და გაურკვეველი რჩებოდა. ახლა კი წაგებულია.

43. ეh2+ მფg8 44. ლb3+ ლf7 45. ეh8+. შავები დანებდნენ.

გულშემატკივრებს მოეწონათ

ეს პარტიები გორელ გულშემატკივრებსა და მემორიალის სტუმრებს ძალიან მოეწონათ. იქნებ თქვენც ამავე აზრისა იყოთ?

გუფელდი — გრიგორიანი

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. მgf3 a6 5. ed ed 6. კe2 მf6 7. 0—0 კe7 8. dc კ:c5 9. მb3. კa7 10. კg5 0—0 11. c3 კe6 12. მfd4 მbd7 13. კd3 ლc7 14. ლc2 ეae8 15. ეfe1 კb8 16. g3 ლc8 17. კf5 h6 18. კh4 მe5 19. მd2 კ:f5 20. მ:f5 მe4.

ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა. გრიგორიანის კომბინაციურ შეტევას დიდოსტატი გონებამახვილური ტაქტიკური მუქარებით უპასუხებს.

21. მ:e4 მf3+ 22. მფg2.

აქ გრიგორიანმა 42 წუთს იფიქრა და, როგორც ჩანს, რაღაც მაინც გამორჩა. ეს ალბათ გუფელდის 24-ე სვლა იყო.

22. ... მფh8 23. მf6! ე:e1 24. მფ:f3! ეe4.

ამ პოზიციის გაანალიზება დიდ კმაყოფილებას გვგვრის.

25. მe7 ლe6 26. მ:e4 de+ 27. ლ:e4 g5 28. ეe1 ლ:e4 29. ე:e4 ეd8.

ბრძოლა განელდა. გუფელდმა პაიკი მოიგო და პოზიციაც მოსაგები აქვს.

30. მf5 მფh7 31. კ:g5 hg 32. ეe7 მფg6 33. მd4 კa7 34. ე:b7. შავები დანებდნენ.

• • •

ა. ბოკუჩავა იერიშის ოსტატია. მან ამ პარტიაშიც ბრწყინვალე იერიში წამოიწყო და კანონზომიერად რომ დაემთავრებინა იგი, ალბათ ჯილდოს მიიღებდა ვაჟკაცური ბრძოლისთვის.

ბოკუჩავა — გრიგორიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 a6 3. b4 cb 4. d4 d5 5. ed მf6 6. კd3 b5 7. 0—0 ლ:d5 8. a4 b4a 9. c4 bc 10. მc3 ლa5 11. ე:a3 ლc7 12. კe2 e6 13. ეa4 მd5 14. ე:c4 ლd8.

არ შეიძლება 14. ... მ:c3, 15. ე:c7 მ:d1 16. ე:c8+ მფd7 17. ეc2 და შავები უფიგურო რჩებიან.

15. მe5 მb6 16. კh5 g6.

ეტლის აყვანას ლაზიერის დაკარგვა მოჰყვებოდა: 17. კ:f7+ მფe7 18. კg5+.

17. ლf3 ეa7 18. მe4 f5 19. მ:g6 hg 20. კ:g6+ მფd7 21. კg5.

ბოკუჩავამ მეტოქის მეფეს შეუტია. ახლა მთავარია სიზუსტე.

21. ... fe 22. ლf7+ კe7 23. d5 მ:c4 24. de+ მფc6 25. კ:e4+ მფb6 26. ეb1+ კb4 27. კ:d8+ ე:d8 28. e7?

თეთრ მეფეს სარკმელი რომ ჰქონდეს, ეს სვლაც მოიგებდა. ახლა შავები ახერხებენ დიდი მატერიალური უპირატესობის შენარჩუნებას. იგებდა 28. ლf6.

28. ... ეe7 29. ე:b4+ მფa5 30. ეa4+ მფb6 31. ლf6+

ყაიმი იყო სვლების გამეორებით: 31. ეb4+

31. ... ეd6 32. ლf3 ე:e4 33. h3 მd2 34. ლd1 ე:a4 35. ლ:a4 მbc6 36. ლf4 ეd4. თეთრები დანებდნენ.

თ. გიორგაძე.

ლაზიერის თავგანწირვით

უნგრული საშადრაკო ჟურნალის „მადიარ შაკელეტის“ კომპოზიციის განყოფილებას ტრადიციად აქვს ჟურნალის ფურცლებზე წლის მანძილზე დასტამბული საუკეთესო კომპოზიციების ავტორთა დაჯილდოება.

ჟურნალის წლევანდელ მე-10 ნომერში გამოქვეყნდა 1967 წელს დაბეჭდილ ნაწარმოებთა კონკურსის შედეგები. III პრიზი მიენიჭა ქართველი ეტიუდისტების ვ. კალანდაძისა და ვ. ნეიძის ერთობლივ ნაწარმოებს.

აი, ისიც:



თეთრები იწყებენ და იგებენ

ეტიუდში გონებამახვილურადაა ჩაქსოვილი თეთრი ლაზიერის თავგანწირვა. შავები ერიდებიან მის აყვანას და... შამათს ღებულობენ.

ი. გრინგერგასი.
მეგობრული შარჟი შ. შანიძისა.

„ლელოს“ ინტერვიუ

თბილისის სპორტის სასახლეში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ხელბურთელთა III საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ი. გრინბერგასს. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

● თქვენ ნაკრების მწვრთნელად დიდი ხანი არაა, რაც მიგიწვიეს. რას გვეტყვით გუნდის მზადების შესახებ?

— ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ჯერჯერობით არა გვაქვს დადგენილი. ამ ტურნირს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სწორედ აქ უნდა გაირკვეს ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ სტაბილურ შემადგენლობაზე. სუსტმა მხარეებმა პირველსავე შესვედრებში იჩინა თავი: ჯერჯერობით ჩვენი გუნდი სტატიკურად თამაშობს, არა აქვს გამომშავებული რიტმი, ხელბურთელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან შეთამაშებული. განსაკუთრებით უმოძრაოა მეორე ხაზი (კლიმოვი — მაქსიმოვი). ამ მოთამაშეებს აქვთ ძალიან ძლიერი ტყორცნა, მაგრამ მარტო ამით ფონს გასვლა არ შეიძლება. საჭიროა მეტი მოძრაობა.

● ამჟამინდელი ნაკრების შემადგენლობაში ვერ ვხედავთ ბევრ გამოცდილ ხელბურთელს. ხომ არ ფიქრობთ გუნდის გადახალისებას?

— გადახალისება უთუოდ მოსდება. ჩვენ ხომ მხოლოდ ახლა ვამოწმებთ, ვის რა შეუძლია. მაგალითად, მეორე ხაზის მოთამაშეებს დავუმატებთ მახორინს. იგი კლიმოვისა და მაქსიმოვის კარგი ცვლა იქნება. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ შაიუკი, გულბისი... ამჟამად ცერცვაძე და ფხაკაძე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავენ. ეს ხელბურთელები ძალიან აკლია სსრ კავშირის ნაკრებს. როგორც ტურნირმა ცხადყო, ისინი საუცხოო ფორმაში არიან. ამჯერად საბჭოთა ნაკრებში მაღალი კლასის გარემარბები არა გვყავს და ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საჭირო იყო ფხაკაძე. გარემარბებში ფხაკაძე პირველი ნომერია. არიან სხვებიც, მაგრამ ფხაკაძეს მათზე წინ ვაყენებ.

● ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნებოდა, თუ საბჭოთა ნაკრების თბილისელ წევრებზე უფრო დაწვრილებით გამოთქვამდით აზრს.

— ფხაკაძე დღეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელია. ვფიქრობ, იგი საბჭოთა ნაკრების ღირსებას მომავალ ოლიმპიურ თამაშებშიც დაიცავს. ოღონდ მას ცოტა მეტი მუშაობა დასჭირდება დაცვაში უკეთ თამაშისთვის. რაც შეეხება ცერცვაძეს, იგი აშკარად გამოხატული ინდივიდუალური ყაიდის მოთამაშეა. მისი მაღალი ოსტატობის შესახებ ლაპარაკი კი უკვე ზედმეტად მიმაჩნია.

● როგორია უახლოესი მომავლის გეგმები?

— ნაკრების წევრებს საკლუბო გუნდებში სპეციალური დავალებები მიეცემათ. მათ სწორედ საკლუბო გუნდებში უნდა აიმაღლონ ოსტატობა. ამ მხრივ უფრო სწორი და გაჭირთლებული სხვა გზა არ მესახება. სსრ კავშირის მომავალი ჩემპიონატის შეხვედრებში კიდევ ერთხელ დავაკვირდებით ნაკრების კანდიდატებს და საბოლოო შემადგენლობასაც ამის შემდეგ დავადგენთ. პირველ საერთაშორისო მატჩებს საბჭოთა ნაკრები 1-8 იანვარს გამართავს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ეს იქნება სერიოზული გამოცდა მომავალი მსოფლიო პირველობისთვის მზადების პროგრამით. მარტში უკვე ჩვენში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც კიდევ ერთხელ შევამოწმებთ თავს.

● რა ფორმულით ჩატარდება ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი?

— 1969 წლის მარტში გაიმართება ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, სადაც საბოლოოდ გადაწყდება 1970 წლის ჩემპიონატის ჩატარების წესი. ვფიქრობ, გათამაშების ფორმულა ძველებური იქნება. შემოდგომით დაიწყება შერჩევითი თამაშები, ხოლო ფინალური შეხვედრები 1970 წლის გაზაფხულზე გაიმართება საფრანგეთში. საბჭოთა ნაკრების მზადების გეგმები სწორედ ამ ვადების მიხედვით გვაქვს შედგენილი.

გარემარბებში საუკეთესო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მრჯვენე მაგიდასთან

გზები და პერსპექტივები

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

უნდა გაუმჯობესდეს მსაჯთა ურთიერთკავშირი თავიანთ თანაშემწეებთან. თუ თანაშემწე ყველაფერში ეთანხმება არბიტრს, ეს უკანასკნელი მუდამ ემყარება მის შესედულებას. მაგრამ საკმარისია თანაშემწე არ დაეთანხმოს არბიტრს და გამოთქვას თავისი (სწორი) შესედულება, მას უკვე აღარავინ აქცევს ყურადღებას.

ფიფა-ს უყურადღებობით მთელს მსოფლიოში გავრცელდა უხეში თამაშის ეპიდემია, რის წინააღმდეგაც გადამწყვეტი ბრძოლა არ წარმოებს. ეს დიდ ზიანს აყენებს თანამედროვე ფეხბურთს. საჭიროა მსაჯებს მიეცეთ კატეგორიული მითითებანი გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ უხეშ მოთამაშეებს და მათ წინააღმდეგ უმკაცრეს ზომებს მიმართონ. მსოფლიოს ერთერთმა ყველაზე გამოჩენილმა ფეხბურთელმა პელემ შემთხვევით როდი განაცხადა, რომ აწი აღარ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. ჩვენ მოწმენი ვიყავით, თუ რა ნადირობა იყო გამართული ეუსებიოსა და სხვა შესანიშნავ მოთამაშეებზე, მსაჯები კი ამ ყოვლად დაუშვებელ უხამსობას სრულიად გაუმართლებელი ლიბერალიზმით ეპყრობოდნენ.

როგორც უკვე ვთქვით, უხეში თამაშის ეპიდემიამ ჩვენს მინდვრებზე მოიკიდა ფეხი. მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელები ს. მეტრეველი, ე. ხტრელცოვი, ა. ბიშოვეცი და სხვანი დიდად ზარალდებიან მოპირდაპირე მცველებთან უხეში თამაშის გამო, ჩვენი არბიტრები კი, სამწუხაროდ, ამ უმსგავსოებას არ ებრძვიან. თუ უხეშობას ნამდვილი ომი არ გამოუცხადეთ, ტექნიკურ ოსტატობას აღარ ექნება ზრდის სტიმული. გუნდები კურსს აიღებენ „ათლეტურ“ თვისებათა განვითარებისკენ ტექნიკური სრულყოფის საზიანოდ. შეიძლებოდა უხეშ მცველთა თამაშისთვის დაგვეპირისპირებინა ასეთივე უხეშობა ფორვარდების მხრივ, მაგრამ ეს ამბავი ჩიხში მოგვაქცევდა. ვფიქრობთ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია შესაბამის დასკვნებს გააკეთებს განვლილი ჩემპიონატის გამოცდილების საფუძველზე და უკვე მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში უხეში თამაშის მოყვარულნი საკადრის პასუხს მიიღებენ. ჩვენ კი ასეთ ზომებს უნდა მივმართოთ ახლავე და არ დავუცადოთ ფიფა-ს სანქციებს.

ამ საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია მსაჯთა საკავშირო კოლეგიას. ეჭვი არაა, რომ ჩვენ გვყავს კვალიფიციური არბიტრები, მაგრამ მსაჯთა საკავშირო კოლეგიაში თავი იჩინა დაჯგუფებებმა, კარჩაკეტილობამ. იქ არად აგდებენ კრიტიკას ქვემოდან და ეს შესაბამის გავლენას ახდენს ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე. მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ხელმძღვანელობა, როგორც იტყვიან, ხიშტით ხვდება ყოველგვარ სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას, ამასთან, პასუხები კრიტიკულ შენიშვნებზე ხშირად სრულიად დაუსაბუთებელი და ეთიკას მოკლებულია. მაგალითად, მსაჯთა საკავშირო კოლეგია არად აგდებს ადგილობრივი კომისიების დასკვნას მსაჯობაზე და ბოლო ხანებში ადგილობრივი მსაჯთა კოლეგიების გამსინჯავ კომისიათა შედეგებს საერთოდ არ უწევს ანგარიშს. მეორეს მხრივ, პრაქტიკაში შემოვიდა ე. წ. ინსპექტორ-მსაჯების დანიშვნა საკავშირო კოლეგიიდან. ამ ერთი ინსპექტორ-მსაჯის აზრი თავისებურ უპირატესობით დასკვნას წარმოადგენს, რომელსაც მსაჯთა საკავშირო კოლეგია ისე ემყარება, როგორც უეჭველ არგუმენტს. რა გამოდის? თუ ეს მსაჯი ადგილობრივია, შეიძლება მთელი კომისიის შეხედულებას გვერდი აუარო, მაგრამ თუ ეს ერთი კაცია, ოღონდ „ცენტრიდან მოვლენილი“, მისი სიტყვა კანონია. რაღაც არ გამოდის კარგი! ადგილობრივი მსაჯთა კოლეგიების უგულებელყოფა და მათი ობიექტურობის ეჭვს ქვეშ დაყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ჩვენ ვიცით შემთხვევები, რომ ინსპექტორ-მსაჯს უჯერებდნენ მაშინაც კი, როცა პროტესტის შემტან გუნდს თავისი პრეტენზიები დადასტურებული ჰქონდა კინო და ფოტოდოკუმენტებით. ამ უტყუარ საბუთებს არავინ აქცევდა ყურადღებას.

განა შეურაცხმყოფელი არაა, როცა მოტივირებულ პროტესტს მსაჯთა საკავშირო კოლეგია უპასუხებს იმით, რომ... საჭიროა უკეთ თამაში და არა პროტესტების წერა?

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ასეთი „მუნდირის პატივის დაცვა“ დიდ ზიანს აყენებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას.

მსაჯის მოვალეობა ძალზე ძნელია და ბევრი ჩვენი არბიტრის მუშაობა სათანადო პატივისცემას იწვევს. მსაჯთა საკავშირო კოლეგიაში ბევრია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მსაჯთა მუშაობა აკიყვანოთ დღევანდელი დღის მოთხოვნებამდე. მაგრამ რა საჭიროა ასეთი მიდგომა კრიტიკის მიმართ, ასეთი იზოლაცია? ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ მსაჯთა კადრების ურთიერთგაცვლა უცხოეთის, პირველ ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების მსაჯებთან. ასეთი ურთიერთობანი პრაქტიკაშია სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში. საკითხავია, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგი ფეხბურთის მსაჯობაში?

უმაღლესი ლიგის მატჩებს უნდა მოემსახურონ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის არბიტრები და სულაც არაა საჭირო მსაჯი თამაშზე დაინიშნოს 2 თვით ადრე, თანაც, ეს დანიშვნა საქვეყნოდ გამოცხადდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაზე ობიექტური იქნებოდა მსაჯთა დანიშვნა კენჭისყრით ყოველი ტურის წინ.

საბჭოთა ფეხბურთელთა გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე არ აკმაყოფილებს ჩვენს საზოგადოებრიობას, მაგრამ ეჭვი არაა, თუ ასეთ ნაკლოვანებათა დაძლევისთვის საერთო ძალებით ვიბრძოლებთ, ახალ ნაბიჯს გადავდგამთ უმაღლესი სპორტული ოსტატობის მისაღწევად.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 238, 239, 241.

მოთხილამურეთა მარათონული სეზონი



„ამ ზამთარს ჩვენი მოთხილამურეობრბოლელები ეცდებიან რევანში აიღონ გრენობლში წარუმატებლობისთვის და დაამტკიცონ, რომ ისევ მსოფლიოს საუთხილამურო ოლტაში შედიან“, — თქვა აას-ის პრესპონდენტებთან საუბარში ... ოკავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ. ... ოტიმისტურად არიან განწყობილი საუთხილამურო სპორტის ... ბჭოთა სპეციალისტები, რომელთა ... ამას წინათ საუთხილამურო ფედერაციის ორდღიანი სხდომა მიძღვნილ წინაოლიმპიურ მზადებადა დაშვებულ შეცდომებს.

სპორტსმენებმა საუკეთესო ფორმას უნდა მიაღწიონ თებერვლის ... ბოლოს, როცა ბაკურიანში გაიმართება პირველი ასპარეზობა სსრ ... ავშირის თასზე.

... დრო და ადგილი შემთხვევით ... ოდია შერჩეული. ერთი წლის შედეგ, დაახლოებით ამავე დროს, ... ალ ტატრის მთებში (ჩეხოსლოვაკია) ჩატარდება 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეები ... ტს აიღებენ დაახლოებით 800 მ სიმაღლეზე (ბაკურიანი დაახლოებით 1800 მ სიმაღლეზე მდებარეობს). ჩვენ გვინდა წინასწარ ... ვადგინოთ მომავალი წლისთვის ... ადების სქემა, — თქვა კამენსკიმ. ... თუ წლეულს ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ამ გეგმას მივიღებთ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების საფუძვლად.

კარგად გვესმის, რაში მდგომარეობდა ჩვენი შეცდომები გრენობლის ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში და ვეცდებით აღარ გავიმეოროთ ისინი.

გასულ სეზონში საბჭოთა საუთხილამურო სპორტის ლიდერთა უმრავლესობამ მეტისმეტად ადრე მიაღწია მაღალ სპორტულ ფორმას და გრენობლის ოლიმპიური სტარტებისთვის თითქმის უკვე დაკარგა იგი. მხოლოდ ვ. ვედენინმა და ვ. ორონკოვმა შეძლეს ფორმა შეენარჩუნებინათ და გრენობლში თანაბარი მეტოქეობა გაეწიათ მსოფლიოს უძლიერესი მოთხილამურეებისთვის (მოგაგონებთ, რომ ვედენინმა 50 კმ-ზე რბოლაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ვორონკოვმა კი 30 კმ-ზე შეჯიბრებაში IV ადგილი დაიკავა). მაგრამ ამ წარმატებაში მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, სამწუხაროდ, დამსახურება არ მიუძღვით. ეს შემთხვევამ გადაწყვიტა. სპატიო მიზეზების გამო ამ მოთხილამურეებმა ზაფხულში და შემოდგომით ბევრი საწვრთნელი დღე გააცდინეს. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო ჩადგნენ ისინი საუკეთესო ფორმაში ოლიმპიური სტარტებისთვის.

ამან და სხვა ფაქტებმა დაგვაწყებინა, რომ ადრინდელი საწვრთნელი გრაფიკების შედგენაში შეცდომებს ვუშვებდით. ამიტომ ახალი სეზონისთვის მზადებისას სპორტსმენებმა საგრძნობლად უკლეს საწვრთნელი ვარჯიშის ინტენსიობას. შეიცვალა დატვირთვის ხასიათიც. ვაჟები ცოტას ვარჯიშობდნენ დახურულ დარბაზებში, სამაგიეროდ, მათ ხშირად ნახავდით ბუნების წიაღში. სპორტსმენებმა კარგად იმუშაეს სათიბებში, ხე-ტყის დამზადებაზე, ვარჯიშობდნენ ნიჩბოსნობაში და კროსებს აწყობდნენ. ერთი სიტყვით, ზაფხულში და შემოდგომით ჩვენი მოთხილამურეები იმდენად წვრთნის დონეზე არ ფიქრობდნენ, რამდენადაც ნერვული და ფიზიკური ენერგიის დაგროვებას ცდილობდნენ. ეს ძალიან გამოადგებათ საპასუხისმგებლო სტარტების პერიოდში.

მომავალ სეზონში საბჭოთა მოთხილამურეებს ბევრი ღია სტარტი ელით. აღვნიშნავ, რომ ნაკრების მწვრთნელები ამ რბოლების შედეგებს ყურადღებას არ მიაქცევენ. მათი მთავარი მიზანია გაწეული მუშაობის ხარისხის შემოწმება საბრძოლო ვითარებაში, შეცდომების გამოვლენა. ამ ტიპის რბოლების უმეტესობა ჩატარდება დეკემბერში და იანვარში, მოთხილამურეთა „შავი სამუშაოს“ პერიოდში. სპორტსმენები სწორედ ამ პერიოდში იასპარეზებენ „ურალის პრიზზე“, „ბულატის პრიზზე“, „რუსეთის თხილამურების“ პრიზზე, „მოსკოვის პრიზზე“ და ა. შ.

ნამდვილი ძალთა შემოწმება იქნება ტრადიციული „სათხილამურო თამაშები“ კავგოლოგოში, ლენინგრადთან ახლოს, სადაც ევროპის ყველა სათხილამურო სახელმწიფოს წარმომადგენლები გამოვლენ. შეჯიბრება გაიმართება სრული პროგრამით: რბოლაში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში.

ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები თითქმის არ მომხდარა. მწვრთნელები უწინდებურად ამყარებენ იმედს ნიჭიერ მრბოლელებზე, რომელთაც თავი გამოიჩინეს ბოლო წლებში.

ვაჟთა გუნდში ესენი არიან: ა. აკენტიევი, ა. ნასედკინი, ფ. სიმაშოვი, ვ. ტარაკანოვი, ვ. ვედენინი, ვ. დოლგანოვი; ქალებიდან — რ. აჩკინა, ნ. შებალინა, გ. კულაკოვა, ა. სმირნოვა, ლ. დოროროინა, ნ. ივანოვა და გ. პილიუშენკო.

არ უნდა დავივიწყოთ ვეტერანებიც. თუ მწვრთნელად არ დაიწყო მუშაობა, ა. კოლჩინას ახლაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ახალგაზრდებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეუდგა წვრთნას ი. უტრობინი, რომელიც ამ ზაფხულს საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და სერიოზულად დაშავდა.

ცვლილებებია შეტანილი მხოლოდ მწვრთნელთა შემადგენლობაში. მრბოლელებს ვ. ბარანოვთან და ბ. კოლჩინთან ერთად მოამზადებს მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონი ვ. კუზინი, ნ. ანიკინი კი იუნიორებს ავარჯიშებს. ქალთა ნაკრებს უხელმძღვანელებს ორი ავტორიტეტული სპეციალისტი — ვ. ივანოვი, რომელიც აქამდე მოსკოველ მოთხილამურე ქალებს ავარჯიშებდა, და ა. ბაჟენოვი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია სსრ კავშირის სპორტსმენ ქალთა წარმატება კორტინა დ'ამპეცოსა და სკვო-ველის ოლიმპიადებში, 1958 წლის ლაჰტის მსოფლიო ჩემპიონატში.

— შანშანდელი ზამთრის შეჯიბრებებში, — თქვა საუბრის დასასრულს ვ. კამენსკიმ, — ბევრი ჩვენი მოთხილამურე, განსაკუთრებით სპორტსმენი ქალი, სათანადოდ ვერ ფლობდა სამთოსათხილამურო ტექნიკას, რაც რთულ და გაყინულ ფერდობებზე იყო საჭირო. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გავართულოთ შეჯიბრების ტრასები როგორც ბაკურიანში, ისე მურმანსკში, სადაც მარტის მეორე ნახევარში ქვეყნის ჩემპიონატის ჩატარებაა განზრახული. სრულიად ეს ტრასები არ ჩამოუვარდება დასავლეთში განთქმული დისტანციების უმეტესობას. საბჭოთა მრბოლელები აპირებენ სრულად გამოიყენონ საერთაშორისო კალენდრის შესაძლებლობანი. მათ სურთ სტარტი აიღონ არა მარტო ყველა სერიოზულ ტრადიციულ ტურნირში, მაგალითად, ლაჰტის (ფინეთი), ფალუნის (შვეცია) და ჰოლმენკოლენის (ნორვეგია) შეჯიბრებებში, არამედ გაეცნონ საპოროსაც (იაპონია), სადაც 1972 წელს მორიგი თეთრი ოლიმპიადა ჩატარდება.

საბჭოთა მოთხილამურეები ფინეთთან მაშინ მივლენ, როცა რუსეთის ცენტრალურ ზოლში უკვე ტყეები ამწვანდება.

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი პოლარულ წრეს იქით გათამაშდება: კანდალაკშში (კოლის ნახევარკუნძული) მოეწყობა მარათონული რბოლა 70 კილომეტრზე. ამ შეჯიბრებით დამთავრდება მოთხილამურეთა მართლაც მარათონული სეზონი.

* * *

სურათებზე: საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოთხილამურეები რ. აჩკინა და ა. აკენტიევი ასპარეზობის დროს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

რესპუბლიკაში პირველი

მეხიკოში ახლახან გამართულ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელს ე. სანთელაძეს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება ფრენბურთში. ე. სანთელაძე პირველია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელმაც ფრენბურთის მსაჯებს შორის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება მიიღო.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა გულწრფელად ულოცავს მას ამ მაღალი წოდების მინიჭებას და შემდგომ მუშაობაში ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს.



სურათზე: ე. სანთელაძე.

მეათე სერიის კასუხები

1. რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, პირველი ქვეყნიერული ფეხბურთის ჩეხოსლოვაკიელმა მოკრივემ ბოგუმილ ნემეჩეკმა შვიდი წლის შემდეგ ისევ რომში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი, ამჯერად, მეორე ქვეყნიერული წონაში.

2. 1955 წლის 18 აგვისტოს ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის დაარსების 75 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა შეხვედრა ფიფა-ს ევროპულ ნაკრებსა და ინგლისის ნაკრებ გუნდს შორის. ფიფა-ს ნაკრების (მწვრთნელი ა. ბატე) შემადგენლობა ასეთი იყო: ბუფონი (იტალია), გუსტავსონი (შვეცია), ვან ბრანდტი (ბელგია), ოცვირკი (ავსტრია, გუნდის თავი), ჟონკე (საფრანგეთი), ბოჟკოვი (იუგოსლავია), სოერენსენი (დანია), ვუკასი (იუგოსლავია), კოპა (საფრანგეთი), ტრავასოსი (პორტუგალია), ვენსანი (საფრანგეთი). აღნიშნულ მატჩში გაიმარჯვეს ნაკრების ფეხბურთელებმა — 4:1. ერთი ბურთი გაიტანა ვენსანმა, სამი — ვუკასმა. ინგლისელთაგან საპასუხო გოლის ავტორი იყო ჯონსტონი.

3. საბჭოთა ოლიმპიური საფოსტო ნიშნები პირველად 1957 წლის 27 ივლისს გამოვიდა. მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების აღსანიშნავად გამოშვებული 6 ნიშანი ეძღვნებოდა მძლეოსნობას, კრივს, ტანვარჯიშს, ძალოსნობასა და ფეხბურთს.

4. მარათონულ რბენაში ვაუებთან ერთად გამოდიან ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ინგლისის, ახალი ზელანდიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენი ქალები. დღეისთვის მარათონში ვაუებთან ერთად მონაწილეობის დროს ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ახალზელანდიელ მილდრედ სემსონს — 3:09.33. დამოუკიდებლივ ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიოში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ნაჩვენები აქვს ჰოლანდიელ დიასახლისს, 28 წლის ანი ფედეს — 3:00.36,2. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაუთა მსოფლიო რეკორდი ამჟამად უდრის 2 საათს, 9 წუთსა და 34,2 წამს (მისი ავტორია ავსტრალიელი დერეკ კლეიტონი), ხოლო მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსნის, ეთიოპიელი მამო ვოლდეს შედეგია 2:20.26,4.

5. მოციგურავეთა სტარტები არა ცალკე წყვილებად, არამედ ჯგუფურად მოეწყო მხოლოდ ლეიკ-პლესიდის 1932 წლის ზამთრის III ოლიმპიური თამაშების დროს. ეს სიახლე განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა წესებმა, რაც აღნიშნულ სახეობაში შეჯიბრების „საერთო სტარტებით“ ჩატარებას ითვალისწინებს. ამ ამბავს ბევრი ინციდენტი მოჰყვა, რამაც უარყოფითად იმოქმედა როგორც შეჯიბრებაზე, ისე, რა თქმა უნდა, შედეგებზე.

6. ცნობილი ამერიკელი მოცურავე და შემდგომში კინომსახიობი ჯონ ვაისმიულერი მონაწილეობდა 1924 და 1928 წლების პარიზისა და ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებში. იგი თავისუფალი სტილით ცურვის ხუთ სტარტზე გამოვიდა და ხუთივეჯერ ოქროს მედალი მოიხვეჭა (ხუთივე შედეგი ახალი ოლიმპიური რეკორდით აღინიშნა).

7. წყალში ყვინთვის მსოფლიო რეკორდი უდრის 77 მეტრსა და 15 სანტიმეტრს. იგი ეკუთვნის ამერიკელ რ. კროფტს და დამყარებულია 1967 წელს. ქალთა მსოფლიო რეკორდის (35 მ) მფლობელია იტალიელი ჯ. ტრელეანი.

8. ჩეხოსლოვაკიელმა ბადროს მტყორცნელმა ოლგა ფიკოტოვამ და ამერიკელმა პაროლდ კონოლიმ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს მელბურნის 1956 წლის თამაშებში. მათ მეხუთე ცდაზე დაამყარეს ოლიმპიური რეკორდები (ფიკოტოვამ — 53,69 მ, კონოლიმ — 63,19 მ) და ამით პირველი ადგილებიც გაინაწილეს. როგორც ფიკოტოვას, ისე კონოლის გამარჯვება პირველებმა მიულოცეს ამავე სახეობებში II-III ადგილებზე გასულმა საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ბეგლიაკოვამ, ნ. პონომარიოვამ, ა. სამოცვეტოვმა და მ. კრივონოსოვმა. ფიკოტოვამ და კონოლიმ მელბურნშივე, ოლიმპიურ სოფელში იქორწინეს.

9. ეროვნული სპორტის 100 წლისთავი 1967 წელს იზეიმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ.

10. ციგურაობაში ოფიციალური მსოფლიო რეკორდებიდან ყველაზე დიდხანს იარსება ლეგენდარული ნორვეგიელი სპორტსმენის ოსკარ მატისენის მიღწევამ. 1914 წელს დავოსში (შვეიცარია) გამართულ შეჯიბრებაში 1500 მეტრი მატისენმა 2 წუთსა და 17,4 წამში დაფარა. 23 წლის შემდეგ ისევ ნორვეგიელმა სპორტსმენმა მ. სტაკსრუდმა კვლავ დავოსში შეძლო აღნიშნული რეკორდის მოხსნა და აჩვენა 2.14,9.

* * *

კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის 22 დეკემბრის ნომერში.

ჩემპიონები ლირსებას იცავენ

სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა პირველი ტურნირი ამას წინათ კუზნეცკის ალათაუს მთიანეთში იუგუსის ფერდობებზე გაიმართა.

სლალომის 350-მეტრიან ტრასაზე ქალებში უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, მოსკოველი სპორტის ოსტატი გ. სიდოროვა.

ვაუებიც ამ ტრასაზე ასპარეზობდნენ. ყველას აქაც მოსკოველმა აჯობა: სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა ტ. მონასტირიოვმა ორი ცდით ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა ტრასის გავლას. მას ოდნავ ჩამორჩა ა. ტომსონი (მოსკოვი). III ადგილზეა კემეროვოელი სტუდენტი ს. მოროზოვი.

ისევ ეს ჭირვეული სივორი!

იტალიის „ნაპოლის“ ცნობილი ვეტერანი სივორი ისევ წაეჩხუბა გუნდის ხელმძღვანელობას. მას არ მოსწონს წვრთნის მეთოდები, სადავოდ მიაჩნია გუნდის საბრძოლო შემადგენლობა და ა. შ. მწვრთნელმა სივორი ჯერ სათადარიგო შემადგენლობაში გადაიყვანა, მაგრამ „ნაპოლის“ დირექტორატს სეტყვასავით დააყარეს საპროტესტო წერილები, თანაც, ვერ გაამართლა იმედი ცენტრალურ თავდამსხმელთა ახალმა წყვილმა, სადაც ალტაფინი და ნილსენი შედიან.

მაშინ „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ გამოცდილ ფანდს მიმართა — მოულოდნელად დააბრუნა სივორი ძირითად შემადგენლობაში, რათა მარცხის შემთხვევაში თავიდან მოეცილებინა იგი. სივორი, რომელსაც ფეხბურთში ყველაფერი უნახავს, არ დაიბნა, ბრწყინვალე გოლი გაიტანა „იუვენტუსის“ კარში და მასპინძლებს 2 ქულა მოუტანა (1:0). რომის გაზეთ „უნიტას“ რუბრიკა აქვს: „კვირის გმირები“. ამ კვირის გმირად გაზეთმა სწორედ სივორი აღიარა.

მაინც, „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ სივორი ადრინდელი შეკამათებისთვის დიდი ფულადი თანხით დააჯარიმა და უკანასკნელი გაფრთხილება გამოუცხადა.

1.500 დოლარი... 2 შუშხუნისთვის

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამსჯელა იმ ინციდენტის გარშემო, რომელიც ამას წინათ მოხდა მილანში. თამაშობდნენ „ინტერი“ და „რომა“. მატჩი მაყურებელთა გაუთავებელ ყიჟინში მიმდინარეობდა და როცა ბოლოსდაბოლოს „ინტერმა“ გაიმარჯვა, გულშემატკივართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ მინდორზე 2 ანთებული შუშხუნა ისროლეს.

ეს ორი შუშხუნა „ინტერს“ საკმაოდ ძვირად დაუჯდა: ფედერაციამ მას 1.500 დოლარი გადაახდევინა.

პრეზიდენტი აღნიშნავს იუბილეს

ცნობილ მადრიდელ საქმოსანს, „რეალის“ პრეზიდენტს ს. ბერნაბეუს თავის პოსტზე ყოფნის 25 წელი შეუსრულდა. მან გადაწყვიტა ამ თარიღის თავისებურად აღნიშვნა და დიდ წვეულებას მართავს, რომელსაც დაესწრება ყველა ფეხბურთელი, ვისაც კი ოდესმე „რეალში“ უთამაშია ამ 25 წლის მანძილზე. ბერნაბეუმ მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა 388 ფეხბურთელს.

ვერ კბაკეს მაკმას

ბრიუსელის „ანდერლეხტი“ დიდ იმედს ამყარებდა ახალგაზრდა შვედ ცენტრფორვარდ თ. ნორდალზე, სახელოვან ჰუნარ ნორდალის შვილზე. მაგრამ თამაში თამაშს მოსდევს და შვილი ვერ ამართლებს იმედს. უკანასკნელ ხანებში მას უჭდება დაშავებული ვან ჰიმსტის შეცვლა და უსუსურად მოქმედებს. ასე იყო მანჩესტერშიც, სადაც „ანდერლეხტმა“ წააგო მატჩი ანგარიშით 0:3, ასე იყო საკუთარ მინდორზეც, „სტანდარდთან“ (0:0).

ᲥᲮᲚᲘ ᲥᲐᲖᲔᲑᲘ

● **კიევი,** 10 დეკემბერი. **რუსულ შაშში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის დამატებითი მატჩის IV პარტია რიგელ ი. ცინენსა და ლენინგრადელ ი. სპასკაიას შორის ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 2,5:1,5 ცინეს სასარგებლოდ.**

● **შტუტგარტი,** 10 დეკემბერი. ოლიმპიური ჩემპიონები — ამერიკელი ზანგი რ. ბიმონი და ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ვ. ჩასლავსკა დასასხელეს წლის საუკეთესო სპორტსმენებად ისკ-ს საგენტოს მიერ მოწყობილ ტრადიციულ გამოკითხვაში, რომელშიც 29 ქვეყნის სპორტულ გამოცემათა ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ვაუთა საუკეთესო ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, კენიელი სტაიერი ჯ. კეინი, ზანგი მძლეოსნები ჯ. ჯაისი, ლ. ევანსი, ტ. სმითი. ქალთა შორის საუკეთესოთა ათეულში სოციალისტური ქვეყნების რამდენიმე სპორტსმენია: მ. გუმელი (გდრ), ი. კირშენშტეინი-შევინსკა (პოლონეთი), ლ. მანოლიუ და ვ. ვისკოპოლიანუ (ორივე — რუმინეთი).

● **მალიორკა,** 11 დეკემბერი. ესპანეთის ამ კუნძულზე მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIV ტურის ცენტრალურ მოვლენად იქცა კორჩნოის გამარჯვება ლარსენთან შეხვედრაში: საბჭოთა დიდოსტატმა 39-ე სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი დანიელ მოჭადრაკეს. კორჩნოი განაგრძობს ლიდერობას — მას უკვე 12 ქულა აქვს (წინა ტურში ამერიკელ დიდოსტატ ბენჯოსთან მისი გადადებული პარტია 72-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა). სპასკი 10 ქულით დარჩა, ვინაიდან ტორანთან შეხვედრა ვერ დაამთავრა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა დიდოსტატი სატურნირო ცხრილში II ადგილს ინარჩუნებს. თავის ბალანსს ნახევარი ქულა დაუმატა პეტროსიანმა: 36-ე სვლაზე მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კალვოსთან. ახლა მსოფლიო ჩემპიონს 9,5 ქულით III ადგილი უჭირავს. ლარსენი ძველებურად IV ადგილზეა — მას 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს (ლარსენმა და ტორანმა ამ გადადებულ პარტიაში უკვე გააკეთეს 69 სვლა). შემდეგ მოდიან: ივკოვი, გლიგორიჩი — 8-8 ქულა, მატანოვიჩი, ბენკო, პომარი — 7,5-7,5, გეორგიუ — 6,5, მედინა — 6, ვიზიე, ლემანი, ბირნი — 5,5-5,5, კორალი — 4,5, ტორანი — 4 და 2 გადადებული პარტია, ვესტერინენი — 4, კალვო — 3,5. ფინიშამდე 3 ტური დარჩა.

პოლონელი რეგბისტები თბილისში

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად თბილისს სტუმრად ეწვია ვარშავის რეგბისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება ევროპაში. პოლონელი რეგბისტები თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ორ მატჩს გამართავენ.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან ვარშავისა და თბილისის რეგბისტთა ნაკრები კოლექტივები. იგივე გუნდები განმეორებით ითამაშებენ 15 დეკემბერს.

ორივე მატჩის დასაწყისი 15 საათზე.

გავაშელმა, მეტრეველმა და ნოდიამ...

პნომ-პენი, 11 დეკემბერი. **თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა კვლავ დაამარცხეს კამბოჯის ნაკრები, ამჯერად, ანგარიშით 4:2. თბილისელთაგან გოლების ავტორები არიან გავაშელი (2), მეტრეველი და ნოდია. დინამოელები აქედან სინგაპურს მიემგზავრებიან.**

მოკლედ

● **რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დადგენილება მიიღო მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის შემდეგ კვლავ დაუშვას უცხოელ მოთამაშეთა იმპორტი.

● **ბერნი.** ფიფა-ს დისციპლინარულმა კომისიამ 2 თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა ბელგიის ნაკრების წამყვან ფეხბურთელს ჯ. ჰეილენსს, რომელსაც მინდორი დაატოვებინეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იუგოსლავიელებთან.

● **ბონი.** გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა ჩამოაყალიბოს მეორე ლიგა 18 გუნდის შემადგენლობით. ამ ღონისძიების მიზანია საკლუბო გუნდების გაძლიერება (დღემდე „ბუნდესლიგის“ გარდა აქ მომდინარეობდა შეჯიბრებები ზონებში).

შეცდომის გასწორება

„ლელოს“ 11 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „გამართლებული რისკი“ კორექტორის მიზეზით გაიპარა შეცდომა.

მესამე სვეტის მეექვსე სტრიქონიდან აბზაცის ბოლომდე ტექსტი უნდა იკითხებოდეს ასე: „... შეიძლება თავდაპირველად ამ ცდებმა თვალსაჩინო ნაყოფი არც გამოიღოს, მაგრამ გვჯერა, რომ გამოცდილებაცა და ოსტატობაც თანდათან მოვა“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. **12 დეკემბერი. III საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.** მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ვაუთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი: 11-ში — 18 ს., 12-ში — 17 ს.

მაგიდის ჩოგბურთი. სპორტის სასახლე. **14-15 დეკემბერი. საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — ირანი (ნაკრები).** დასაწყისი: 14 დეკემბერს — 19 ს., 15-ში — 12 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **15-16 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაუთა გუნდები. „პუროვესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა).** დასაწყისი 20 ს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან სპორტის ოსტატ ე. კაკაბაძის დედის **ნატალია გრიგოლის ასულ ტორჩინავა-კაკაბაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.